

ქ.თბილისი

2018 წლის 13 დეკემბერი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2018 წლის 13 დეკემბერს, ა.ა.ი.პ. „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს ოფისში.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

სხდომას ესწრებოდა კომისიის 6 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებათაუწინააღმდეგე, ამის გამო არცერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები: მირიან თავზარაშვილი, ვახტანგ სამხარაძე, ლევან ჩიკვაძე, ირაკლი ჩიქავა, ედუარდ ნაჭყებია. ლაშა თავართქილაძე.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, მირიან თავზარაშვილი.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა სრკ-ს საშეჯიბრო კომიტეტის მეთვალყურეთა ქვეკომიტეტის თავმჯდომარის ზ. ბაკურაძის განცხადება, მატჩის მეთვალყურის გ. ჭიჭინაძის ოქმი, მთავარი მსაჯის თ. გვირგვინაშვილის, მიერ მოწოდებული ინფორმაცია და ვიდეომასალა, ამა წლის 8 დეკემბერს, დიდი 10-ს მატჩზე, ქუთაისის „აია“-სა და თბ „არმია“-ს შორის, მომხდარი ინციდენტის შესახებ.

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

ინციდენტის დროს სრკ სადისციპლინო კოდექსით გათვალისწინებულ დისციპლინალურ დარღვევას ადგილი არ ჰქონია.

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე



/მ.თავზარაშვილი/